სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დებულება განსაზღვრავს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

2.1 განყოფილება უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების სამართლებრივ რეგულირებასა და სტუ-ს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.

2.2. ამზადებს სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) პროექტებს.

2.3 უნივერსიტეტს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, როგორც მოსარჩელის, მოპასუხისა და მესამე პირის სახით.

2.4 განიხილავს სტუ-ს თანამშრომელთა და სტუდენტთა ადმინისტრაციულ საჩივრებსა და განცხადებებს.

2.5 უწევს კონსულტაციებს სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს დაწესებულებაში წარმოშობილ სამართლებრივ საკითხებზე.

2.6 უზრუნველყოფს, სტუ-ს სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების მესამე პირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.7 კონტროლს უწევს სტუ-ს ქონების გადაცემასთან დაკავშირებული საიჯარო და სხვა ტიპის ხელშეკრულებების პირობათა დაცვასა და შესრულებას.

2.8 კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს.

განყოფილების სტრუქტურა

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.
2. განყოფილებაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
3. განყოფილებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.